საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 761

17 09 2015წ.

ქ. თბილისი

„საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარის ფორმისა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 5 ოქტომბრის №94 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარის ფორმისა და ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 5 ოქტომბრის №94 ბრძანებაში და

ა) დანართი №1 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) დანართი №2 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) დანართი №3 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №64).

დირექტორი გიორგი შარვაშიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT
202330566